პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 28 (18870) ხუთშაბათი, 2 თებერვალი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

მიზნისაკენ — კონკრეტული გზებით

[illegible]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე მოიწონა ქალაქ თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონული პარტიული [illegible]

[illegible]

დეპუტატობის კანდიდატები

დღას მარტენის ღუმელთან

[illegible]

... ამ დღეებში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშრომელებმა დიდი ნდობა გამოუცხადეს მოწინავე მეფოლადეს — გ. ფანჩვიძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს № 182 რუსთავის საარჩევნო ოლქში. ... დღას მარტენის ღუმელთან მკლავმოუღლელი გ. ფანჩვიძე, იგი ჩქაროსნულ ნადნობებს უშვებს და სახეზე ნათელი ღიმილი დასთამაშებს.

ლ. ძინძლაძე.

●

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, მეფოლადე გოდერძი ფანჩვიძე.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

რეგისტრაციაში გაატარეს დეპუტატობის კანდიდატებად

[illegible]

დიდი, დამსახურებული წარმატება

[illegible]

ფუძის სიყვარული

დაბის ქუჩაში ახალგაზრდა კაცი რომ გაივლის და ყველანი — ერთად შეკრებილი დარბაისელი მოხუცები, თავმომწონე ქალიშვილები, მორცხვი გოგონები თუ საქმიანი დედები — უმალ შეწყვეტენ ხოლმე მასლაათს და ცდილობენ პირველებმა უთხრან მას ზრდილობიანი სალამი, ალბათ, თქვენც დამეთანხმებით, რომ ეს იმ ახალგაზრდის უცილობელ ავტორიტეტზე მეტყველებს.

ამ პატარა ნარკვევში დაბა ასპინძის საშუალო სკოლის მასწავლებელზე, კომუნისტ რობერტ ბერიძეზე იქნება საუბარი.

ერთხელ რობერტი თბილისში იყო ჩამოსული პროპაგანდისტთა სამდღიან რესპუბლიკურ სემინარზე. აბა, რა გული გაუძლებდა არ მოეძია და მოენახულებინა ის უნივერსიტეტელი მეგობრები, რომლებიც თბილისში ცხოვრობდნენ. მორეკ-მორეკა ტელეფონით, გაიკითხ-გამოიკითხა და სადამოთი ერთად შეიყარა ერთმანეთის ნახვის მოსურნე ხუთი მეგობარი. შეხვედრის მერე კი სანაპიროზე ფეხით გაისეირნეს.

— ო, ბობი, ბობი, როგორი გვაკლიხარ თვალში, შენ ვერც

კი წარმოიდგენ! — წარმოთქვა ერთმა და მეგობარს სიყვარულით შეუტია, — რა დაგრჩა იმ მიყრუებულ ასპინძაში? აქ არის ჯობია: კინო, თეატრი, ნაცნობები... მარტო იმ დალოცვილი მტკვრის ნიავი და დუდუნი რად ღირს!

— ე, თემო, არ ვიცოდი, თუ შენ გეოგრაფიაში ასეთი სუსტი იყავი! — ხუმრობანარევი სინანულით მიუგო ბერიძემ და მედიდურად აზიდა წარბი, — ნუ გავიწყდება, რომ ეს მტკვარი ჯერ ასპინძაში, ჩემი სახლის წინ გამოივლის ხოლმე და აქ მერეღა ჩამოდის. თანაც იქ უფრო ანკარაა, ვიდრე აქ. ვისაც გჯერა გამარებით, მეწვიეთ ასპინძაში!

რობერტის მეგობრებს უმალ გაუქრათ კამათის სურვილი...

რობერტი შვიდი წლისა ძლივს იქნებოდა, მოულოდნელად მამა რომ გარდაიცვალა.

ჯ. მეხრიშვილი.

> 80-იანი წლების კომუნისტები

იდეური სიმტკიცე, სიმართლე

პირველი კითხვა, თელავის რაიონის ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის ზოოტექნიკოს ალექსანდრე აიაზაშვილს რომ მივეცი, ასეთი იყო: რით განსხვავდებიან 80-იანი წლების კომუნისტები წინა თაობების კომუნისტებისაგან?

ნ. ონიანი.

მთავარი მოვალეობის ღრმა შეგნებით

ჯანმრთელობის დაცვა დიდმნიშვნელოვანი პარტიული საქმეა

ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის ნამდვილად სახალხო სისტემის არსებობის ერთ-ერთ ნათელ მაგალითს სწორედ ჩვენი რესპუბლიკა წარმოადგენს.

ჯ. მამალაძე,
ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის" მთავარი რედაქტორი, დოცენტი.

ამ ქალიშვილმა პატივისცემა დაიმსახურა

მადონა გორგასლიძემ 1981 წელს წარჩინებით დაამთავრა 24-ე პროფტექნიკური სასწავლებელი და იმავე წელს მუშაობა დაიწყო მაუდ-კამვოლის „საბჭოთა საქართველოს" კომბინატში. იგი საქსოვ-მოსამზადებელი საამქროს ამომხვევალია.

მადონა გორგასლიძემ მუყაითი შრომით უფროსების და თანატოლების პატივისცემა დაიმსახურა. კომკავშირელი ქალიშვილი კარგად დაეუფლა თავის პროფესიას, იგი ყოველდღიურ გამომუშავების ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ა. საპაროვის ფოტო.

„მოლოდიოჟ გრუზიის" საქმიანობა დიდად შეფასდა

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ოპერატიული ჯგუფის მორიგი სხდომა, რომელზეც განიხილეს და მხარი დაუჭირეს გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქციის მუშაობას მისი განყოფილებებისა და ქვეგანაყოფების საქმიანობის კოორდინაციის...

მთლიანად დადებითად შეაფასეს რა გაზეთის მუშაობა, სხდომის მონაწილეებმა ყურადღება დაუთმეს მთელ რიგ ნაკლოვანებებს და ხარვეზებს, აღნიშნეს, თუ რა გზით უნდა სრულყონ მუშაობა იმისათვის, რომ კომკავშირლებსა და ახალგაზრდებს ჩაუნერგონ საზოგადოებრივი, ღოვლათისადმი მზრუნველი დამოკიდებულების გრძნობა.

(საქინფორმი).

„ფული, რიგი და ჩვენ"

შორ ბაზრებში—აკრძალული გზებით

ვინ უწყობს ხელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების რესპუბლიკის გარეთ გატანას?

აფხაზეთის მშრომელთა მიერ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მოპოვებული წარმატებები სახელოვანმა მეციტრუსეებმა დააგვირგვინეს. „ოქროს რთველი" შემჭიდროებულ ვადებში დაამთავრეს და სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით დიდძალი მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი მიჰყიდეს.

— თქვა ს. მელიტონიანმა, —0,13 ჰექტარი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი მაქვს. ეს მანდარინი ჩემს სიძეს გამოვატანე, ჩემი ბაღიდან კი სახელმწიფოსათვის მოსავალი ჯერ არ ჩამიბარებია.

რეიდის მონაწილენი: ვ. ციიბა — აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკი, ლ. ხაბური — საქართველოს კომპარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი, ი. ბვაზავა — გაგრის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის ინსპექტორი, ზ. ბაგათელია, რ. ყარამანიშვილი, ვ. კუციია — გაგრის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მუშაკები, ი. მობაჩია — გაზეთ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები
საქპრესი იუწყება

● მონღოლეთი

60 წლისთავის შესახვედრად

მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილება

ულან-ბატორი. აქ გამოქვეყნდა მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილება მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის მე-3 ყრილობის და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 60 წლისთავის დღესასწაულის შესახებ.

მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის მე-3 ყრილობამ, რომელიც გაიმართა 1924 წლის აგვისტოში, ნათქვამია დოკუმენტში, განსაზღვრა პარტიის მიერ დასახული არაკაპიტალისტური გზით ქვეყნის განვითარების გენერალური ხაზი. დიდი სახალხო ხურალის სესიამ 1924 წლის ნოემბერში პირველ კონსტიტუციაში გამოაცხადა, რომ შეიქმნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, საკანონმდებლო აქტით განამტკიცა მშრომელთა პოლიტიკური ხელისუფლება. ეს მოვლენები უმნიშვნელოვანესი წანამძღვრები გახდა ქვეყნის განვითარებაში.

მონღოლმა ხალხმა თავისი ნაცადი ავანგარდის — მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი დახმარებითა და მხარდაჭერით განახორციელა ღრმა სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები ცხოვრების ყველა სფეროში, ხაზგასმულია დადგენილებაში. ამჟამად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა მსოფლიო სოციალისტური სისტემის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია.

მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაადგინა სახელოვანი იუბილეები აღინიშნოს, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვების დღესასწაული მონღოლეთის მიწა-წყალზე, მოუწოდა რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს აღნიშნონ ეს იუბილეები სოციალისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებით.

● პოლონეთი

მეგობრობის სიმბოლო

ნოვაია გუტის მეტალურგთა დღესასწაული

კრაკოვი. ნოვაია გუტის მეტალურგებს დიდი დღესასწაული აქვთ. 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მეტალურგიულ კომბინატს, რომელიც აქ საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი მიენიჭა. ახლა საწარმო, რომელიც პოლონელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის ნათელი სიმბოლო გახდა, ყოველწლიურად სახალხო მეურნეობას აძლევს და საექსპორტოდ გზავნის 7 მილიონ ტონაზე მეტ მაღალხარისხოვან ფოლადს.

ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით აქ გაიმართა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზეიმო მიტინგი, რომელზეც წაიკითხეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. იარუზელსკის წერილი მეტალურგთა კოლექტივისადმი. თქვენი კომბინატი, ხაზგასმულია წერილში, იყო, არის და იქნება პოლონეთში მომხდარი ძირეული გარდაქმნების [illegible], პოლონელი და საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური თანამშრომლობის მაგალითი. იგი სამართლიანად ატარებს ვ. ი. ლენინის სახელს.

ჩვენ, თქვა მიტინგზე გამოსულმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ბედნარსკიმ, მუდამ გვემახსოვრება საბჭოეთის ძმური დახმარება და ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა ვითარდებოდეს და ღრმავდებოდეს ყველა დარგში. სსრ კავშირთან, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან პოლონეთის კავშირის განმტკიცება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მე-9 ყრილობის მიერ დამტკიცებული ჩვენი პარტიის გენერალური კურსია.

მიტინგზე გამოვიდა სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ნ. აქსიონოვი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

მიტინგის მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი.

● ავსტრალია-იაპონია

უთანხმოების ვითარებაში

ტოკიო. ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის რობერტ ჰოუკის ოფიციალური ვიზიტი იაპონიაში, რომლის დროსაც მას მოლაპარაკება ექნება პრემიერ-მინისტრ ი. ნაკასონესთან და იაპონიის სხვა ხელმძღვანელებთან, დაიწყო პოლიტიკურ და ეკონომიკურ დარგებში ორ ქვეყანას შორის სერიოზული უთანხმოების ვითარებაში.

კანბერას არაერთგზის გამოუთქვამს ღრმა შეშფოთება ნაკასონეს კაბინეტის კურსთან დაკავშირებით, რომლის მიზანია იაპონიის შეიარაღებული ძალების გადიდება და ხაზი გაუსვა, როგორც გაზეთი „მაინიტი" აღნიშნავს, რომ ტოკიოს ცდები სამხედრო-სტრატეგიული როლი შეასრულოს წყნარი ოკეანის აუზში მადესტაბილიზებელ ზემოქმედებას მოახდენს რეგიონის მდგომარეობაზე. აქ ჯერ კიდევ ახსოვთ დიპლომატიური სკანდალი, რომლითაც გასული წლის ივლისში დამთავრდა ტოკიოში ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრის უილიამ ჰეიდენის ვიზიტი. პრესისათვის მიცემულ განცხადებაში იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მაშინ დაამახინჯა მისი გამონათქვამები და მინისტრს მიაწერა ნაკასონეს მთავრობის მილიტარისტული პროგრამების არარსებული „მოწონების სიტყვები", რამაც კანბერას მხრივ ოფიციალური პროტესტი გამოიწვია. მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა არსებობს ორ ქვეყანას შორის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის პრობლემებისადმი მიდგომაშიც.

კანბერის სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს აგრეთვე იაპონიის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ამ ბოლო დროს განუხრელად ზრდის საექსპორტო ექსპანსიას ავსტრალიაში და ამავე დროს ამცირებს ავსტრალიური საქონლის — რკინის მადნის, ქვანახშირის, სურსათის შესყიდვას.

● აშშ-იაპონია

ვაშინგტონის მილიტარისტულ ეტლში

ვაშინგტონი. დამთავრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ს. აბეს ვიზიტი, რომელსაც მოლაპარაკება ჰქონდა პრეზიდენტ რ. რეიგანთან, ვიცე-პრეზიდენტ ჯ. ბუშთან, სახელმწიფო მდივან ჯ. შულცთან, თავდაცვის მინისტრ კ. უაინბერგერთან და სხვა მაღალი თანამდებობის ოფიციალურ პირებთან. ვიზიტის შედეგები მოწმობს, რომ რეიგანის ადმინისტრაცია ცდილობს ტოკიოს კიდევ უფრო მკვეთრად გაადიდებინოს სამხედრო პოტენციალი აზიისა და წყნარი ოკეანის რაიონში ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული გეგმების რეალიზაციის მიზნით.

როგორც ს. აბემ თქვა პრესკონფერენციაზე, ამერიკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს მან მოახსენა ნაკასონეს მთავრობის მეცადინეობა ქვეყნის შეიარაღებული ძალების განმტკიცებისათვის. კერძოდ, ნაკასონეს მთავრობამ, რომელმაც განაცხადა, რომ აპირებს ქვეყანა გადააქციოს ამერიკის შეერთებული შტატების „ჩაუძირავ ავიამზიდად", ვიზიტის წინ გამოაცხადა, რომ სამხედრო ბიუჯეტს მომავალ საფინანსო წელს გაადიდებს 6,5 პროცენტით და მეტად. მაგრამ სამხედრო ხარჯების ზრდის ასეთი სწრაფი ტემპიც კი რეიგანის ადმინისტრაციამ „არასაკმარისად მიიჩნია იაპონიის სამხედრო ვალდებულებათა შესრულებისათვის", ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი". ამ „ვალდებულებებს"

დამთავრდა ს. აბეს ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში

განეკუთვნება, უწინარეს ყოვლისა, ის, რომ იაპონიის შეიარაღებულმა ძალებმა სრული კონტროლი დაუწესონ საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციებს, ქვეყნის ნაპირებიდან ათასი მილის რადიუსში. როგორც ამერიკის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა განაცხადა, იაპონიის მინისტრს ნათლად აგრძნობინეს, რომ ამ ფუნქციების შესასრულებლად ტოკიო მზად უნდა იყოს უკვე ახლა.

ს. აბემ განაცხადა, რომ მოლაპარაკების დროს განიხილეს „ბირთვული შეიარაღებისადმი კონტროლის პრობლემები", როგორც ამერიკის პრესა ადასტურებს, ამ ფორმულირებით შენიღბულია ვაშინგტონის გეგმები გადააქციოს იაპონიის კუნძულები თავის ბირთვულ პლაცდარმად და განალაგოს იქ საშუალო სიშორის „პერშინგ-2" და ფრთოსანი რაკეტები.

სულ უფრო მაგრად აბამს რა ტოკიოს თავის მილიტარისტულ ეტლში, ვაშინგტონი აშკარად არ იფარგლება აზიისა და წყნარი ოკეანის რაიონით. როგორც იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და კულტურის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ ი. კარატამ განაცხადა, ვიზიტის დროს „გამოითქვა აზრი, რომ იაპონია მზად არის ხელი შეუწყოს ამერიკის შეერთებული შტატების მეცადინეობას ლიბანში, სამხრეთ აფრიკასა და ცენტრალურ ამერიკაში მშვიდობის აღდგენის საქმეში". ამ „სამშვიდობო მეცადინეობის" მიღმა, როგორც ცნობილია, იფარება ამერიკის შეერთებული შტატების გეგმები მკვეთრად გააქტიუროს შეიარაღებული ჩარევა ამ რეგიონებში.

ს. აბეს ვიზიტმა გვიჩვენა, რომ ნაკასონეს მთავრობა დანაშაულებრივად მსხვერპლად წირავს იაპონიის ეროვნულ ინტერესებს, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ყბადაღებულ „სამხედრო-სტრატეგიულ თანამშრომლობას". როგორც თვითონ მინისტრმა აღიარა, „დათმობებია" საგარეო-ეკონომიკურ სფეროშიც. მაგალითად, კიდევ სამი წლით გააგრძელეს ორმხრივი შეთანხმება იაპონიისათვის ამერიკული რადიოსატელევიზიო მოწყობილობის მიყიდვის შესახებ.

● აშშ

ჯ. კარტერი აკრიტიკებს

ვაშინგტონი. საბჭოთა კავშირის მიმართ რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკა გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში მან „დიდი წუხილი" გამოთქვა განიარაღების თაობაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების შეწყვეტის გამო და განაცხადა, ორ ქვეყანას შორის „მტრობის დონე", ახლა გაცილებით მაღალია, ვიდრე ცივი ომის დროს იყო.

კარტერმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა პრეზიდენტის ამასწინანდელი გამოსვლის „შემრიგებლური" ტონის გულწრფელობა, საბჭოთა კავშირს რომ ეხებოდა.

კარტერმა აღნიშნა, რომ როგორც გამოცდილება ცხადყოფს, საბჭოთა კავშირი ყოველთვის ასრულებდა მის მიერ ხელმოწერილ შეთანხმებებს განიარაღების დარგში. „საბჭოთა ხელმძღვანელობა, ხაზგასმით აღნიშნა ყოფილმა პრეზიდენტმა, ესწრაფვის კონფრონტაციის თავიდან აცილებას, რომელსაც შეიძლება ბირთვული ომი მოჰყვეს".

● ინდოეთი

ძირგამომთხრელი ძალების ხრიკები

დელი. დასავლეთის სპეცსამსახურებთან დაკავშირებულმა ანტიინდურმა ელემენტებმა გააქტიურეს ძირგამომთხრელი საქმიანობა ჩრდილო-დასავლეთის ფენჯაბის შტატში. ბოლო დღეების მანძილზე მათ განახორციელეს დივერსიები ხუთი რკინიგზის სადგურზე, აფეთქება კინოთეატრში, დაწვეს რამდენიმე ავტობუსი. როგორც გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია" იუწყება, ექსტრემისტებმა გამოაცხადეს, რომ დაიწყეს თავიანთ მოთხოვნათა მხარდასაჭერად კამპანიის ახალი ეტაპი, რომლის მიზანია ინდოეთს მოსწყვიტონ ეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი შტატი და მის საფუძველზე შექმნან მარიონეტული „ხალისტანის სახელმწიფო" ამერიკის შეერთებული შტატების ეგიდით.

ადგილობრივი პრესა ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ იანვრის დამდეგს ლონდონიდან ინდოეთში ჩამოიტანეს დასავლეთის სპეცსამსახურების უშუალო მონაწილეობით შემუშავებული „ინსტრუქციები" ფენჯაბში მოქმედი სეპარატისტული დაჯგუფებებისათვის. ისინი მოუწოდებენ გააფართოონ ტერორისტული აქციების მასშტაბი ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით. ბოლო დროს გახშირდა აგრეთვე ინდოეთის ტერიტორიაზე საზღვარგარეთ გაწვრთნილი დივერსანტების შემოღწევის, პაკისტანიდან იარაღისა და ტყვია-წამლის არალეგალური შემოტანის ცდები.

საიდუმლოს არ წარმოადგენს, თუ ვისი მიჰყავთ დანაშაულებრივი შეთქმულების ძაფებს. ფენჯაბელ სეპარატისტთა მეთაურებმა თავშესაფარი პოვეს შეერთებულ შტატებსა და ინგლისში, მჭიდრო კონტაქტი დაამყარეს ამ სახელმწიფოების ყველაზე რეაქციულ პოლიტიკურ წრეებთან.

ინდოეთში ძირგამომთხრელი ძალების ხრიკები, მიმომხილველთა აზრით, მიზნად ისახავს ქვეყანაზე გარედან სამხედრო ზეგავლენის გაძლიერებას. როგორც პრესა იუწყება, ისლამაბადის რეჟიმი ზრდის მილიტარისტულ მზადებას ინდოეთ-პაკისტანის საზღვრებზე, ახალი თანამედროვე ამერიკული იარაღით ამარაგებს იქ დისლოცირებულ ჯარებს, სულ უფრო ხშირად ახორციელებს პროვოკაციებს ინდოეთის წინააღმდეგ.

შეგონება პრეზიდენტს

ბერძენ მოსწავლეთა ბარათი რონალდ რეიგანს

ათენის კესარიანის რაიონის საშუალო სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეებმა ბარათი დაწერეს და ამერიკის შეერთებული შტატების ათენის საელჩოსათვის მის გადასაცემად თანატოლთაგან დელეგაცია შეადგინეს. ამ საელჩოს საპროტესტო დემონსტრაციებით ვერ გააკვირვებ. მაგრამ აშკარად დემონსტრაცია რამდენადმე უჩვეულო იყო: რონალდ რეიგანის სახელზე დაწერილ ბერძენ ბავშვთა ბარათს ხელს აწერდნენ საბერძნეთის თითქმის ყველა სკოლის, გიმნაზიისა და ლიცეუმის მოსწავლეები. აი ეს ბარათიც.

„მის აღმატებულებას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბ-ნ რონალდ რეიგანს.

თემა: „ხუთი წუთი".

ბატონო პრეზიდენტო,

ჩვენ, ქალაქ ათენის მოსწავლეებმა, გადავწყვიტეთ თქვენთვის ეს ბარათი მოგვეწერა. ჩვენ მხოლოდ ხუთ წუთს წაგართმევთ.

ცხადია, ჩვენ გვესმის, რომ ხუთი წუთი ისეთი სახელმწიფოსათვის, როგორიც თქვენია, ძალზე ბევრია, მაგრამ, რამდენადაც ხშირად გვარწმუნებენ, რომ ჩვენ, ახალგაზრდობა, თითოეული ქვეყნის და მთელი მსოფლიოს მომავალი ვართ, თქვენ დროს გამონახავთ არა ჩვენთვის, არამედ, შეიძლება ითქვას, თვით მომავლისათვის. და მართლაც ღირს ამას ხუთი წუთი რომ დაუთმოთ.

ხუთ წუთში მსოფლიოში შიმშილით კვდება 150 ბავშვი.

ხუთ წუთში უმუშევართა არმიას ემატება 4000 მშრომელი.

ხუთ წუთში შიმშილით კვდება ამდენივე უფროსი ადამიანი, — მშობლები, მამები და დედები.

ამავე დროს ხუთ წუთში მსოფლიოში შეიარაღებაზე იხარჯება ექვსნახევარი მილიონი დოლარი.

ზოგ-ზოგები ამტკიცებენ, რომ ჩვენ, მოსწავლეები, მხოლოდ ჩვენი გაკვეთილებით უნდა ვინტერესდებოდეთ და არ ვერეოდეთ პოლიტიკაში. მაგრამ სხვანაირად როგორ მოვიქცეთ, როცა პოლიტიკა ბავშვთა საქმეებშიც ერევა და ჩვენს სიცოცხლეს ემუქრება?

ბოლოს და ბოლოს, თუ თქვენ იზიარებთ იმ აზრს, რომ ჩვენ პოლიტიკის საკითხებში არ უნდა ვერეოდეთ, მაშინ ჩათვალეთ, რომ ჩვენი ბარათი სწორედ ის არის, რასაც „ჩვენი გაკვეთილებით დაინტერესება" ჰქვია.

ჩვენს ბარათში ვასრულებთ სავარჯიშოებს მათემატიკაში, ვკრებთ, ვამრავლებთ, ვყოფთ და იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ იმ ფულით, შეიარაღებაზე რომ იხარჯება, ჩვენ შეგვეძლო 50 მილიარდი ბოთლი რძე გვეყიდა.

სოციოლოგიაში პრაქტიკულ სავარჯიშოებს რომ ვასრულებთ, ვადგენთ, რომ აღნიშნული თანხით შეიძლებოდა ათასობით სკოლის აგება, უწიგნურობის აღმოფხვრა, ქარხნებისა და ფაბრიკების აშენება უმუშევართა სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის მიზნით.

ჩვენ გვიტარდება მოქალაქეობრივი აღზრდის გაკვეთილები, ვსწავლობთ იმ ქვეყნის (და მთელი მსოფლიოს) ადამიანების სიყვარულს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. ჩვენი საზრუნავია ჩვენი სამშობლოს და მთელი ევროპის ბავშვები.

გვეუბნებიან, ამ პრობლემებით მაშინ უნდა დაინტერესდეთ, როცა გაიზრდებითო. მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ ახლავე მოვკიდოთ ამ საქმეს ხელი, რადგან დარწმუნებული არა ვართ, რომ დიდობას მოვესწრებით. ან კიდევ, ფატალურად რომ არ ვიმსჯელოთ, არა ვართ დარწმუნებული, რომ მშვიდად გავიზრდებით. ჩვენ გვინდა მშვიდად ვიცხოვროთ და გავიზარდოთ, ვინაიდან მშვიდობას ვესწრაფვით და განიარაღების მომხრე ვართ. ჩვენ არ გვინდა, რომ ბირთვული იარაღი იყოს ბალკანეთში, ევროპაში, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში.

მაგრამ როგორ შეიძლება ამის მიღწევა, როცა თქვენ დაჟინებით მოითხოვთ ევროპაში ახალი რაკეტების განლაგებას, რაც კიდევ უფრო გვიახლოებს ომს.

და ნუ ცდილობთ დაგვარწმუნოთ, რომ ყველაფერი ეს ძალთა წონასწორობისათვის კეთდება.

რომელ წონასწორობაზე ლაპარაკობთ თქვენ?!

ამჟამად არსებულ ბირთვულ არსენალს შეუძლია მთელი პლანეტა 50-ჯერ მოსპოს!!! ერთხელაც ხომ საკმარისია, მაშ, რისთვის არის საჭირო დანარჩენი ორმოცდაცხრა?!!

დრო რომ არ წაგართვათ, და ამავე დროს ჩვენც გვეჩქარება, ვამთავრებთ ბარათს. თუ იგი შედეგს არ გამოიღებს, მზად ვართ სხვა საგანში — სპორტში ვივარჯიშოთ. მზად ვართ მთელი ევროპის ბავშვებთან ერთად დემონსტრაციებსა და სამშვიდობო ლაშქრობებში უფროსების მხარდამხარ ვიაროთ.

ხუთი წუთი გავიდა.

კიდევ 150 ბავშვი მოკვდა შიმშილით..."

არა გვგონია, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარათზე უპასუხოს.

ხოლო ამერიკის „თავისუფალი" პრესა ისარგებლებს თავისი თავისუფლებით არ ბეჭდოს ის, რაც მის პატრონებს არ ეპიტნავებათ.

შესაძლოა, ვერც ერთმა ამერიკელმა ვერ შეიტყოს ბერძენ მოსწავლეთა ბარათის ამბავი.

მაგრამ საბერძნეთს შეუძლია იამაყოს თავისი ბავშვებით.

ფოტოფაქტი

პაკისტანში გრძელდება მასობრივი გამოსვლები მმართველი რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ. დემონსტრანტები მოითხოვენ ზია-ულ-ჰაკის სამხედრო ადმინისტრაციის გადადგომას და ხელისუფლების სამოქალაქო მთავრობისათვის გადაცემას. ხელისუფლება მკაცრ რეპრესიებს მიმართავს მთავრობის საწინააღმდეგო მანიფესტაციების დასარბევად.

სურათზე: დემონსტრაციის ერთ-ერთი მონაწილის დაპატიმრება კარაჩში.

აპ-საქპრესის ფოტო.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

● ნიუ-იორკი. პრეტორიის რასისტულ რეჟიმთან რეიგანის ადმინისტრაციის დაახლოების კურსმა ფართოდ გაუღო კარი ამერიკულ ბიზნესს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. შეერთებული შტატები აქტიურად იყენებს შესაძლებლობას გაზარდოს მოგება ნახევრადმონური სამუშაო ძალის იაფი შრომის გზით. ამას მოწმობს ამერიკის საქმიანი წრეების გადაწყვეტილება გამართონ იქ ინვესტორთა საერთაშორისო კონფერენცია „სამხრეთ აფრიკა-84". ამ მოწვევის ინიციატივა გამოიჩინა შეერთებული შტატების სავალუტო რეფორმის ეროვნულმა კომიტეტმა. თავყრილობაში მონაწილეობას მიიღებს ამერიკის შეერთებული შტატების 200-ზე მეტი დიდი ინვესტორი და ექსპერტი.

● კოტონუ. ტოგო მხარს უჭერს ყველა ინიციატივას, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებას, განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა ნგასინგბე ეიადემამ. იგი გამოვიდა სახელმწიფოს დედაქალაქ ლომეში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ხ. პერეს დე კუელიარის ვიზიტის გამო, რომელიც დასავლეთ აფრიკაში მოგზაურობს.

აფრიკის ქვეყნების საქმეებში უცხოელთა ჩარევის შეწყვეტა, აღნიშნა გ. ეიადემამ, ბოლოს მოუღებს სამოქალაქო ომებსა და არასტაბილურობას, შესაძლებელს გახდის ხალხთა მეცადინეობა მიმართოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა გადაწყვეტას.

● ჯაკარტა. „ახალი საერთაშორისო საინფორმაციო წესის დამყარებისათვის მიუმხრობელი სახელმწიფოების ბრძოლის მთავარი ფაქტორია ინფორმაციის დეკოლონიზაცია", — აღნიშნულია მიუმხრობლობის მოძრაობის მონაწილე ქვეყნების ინფორმაციის მინისტრთა აქ დამთავრებული კონფერენციის დეკლარაციაში. ამ კონფერენციაში მონაწილეობდნენ აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და ევროპის ქვეყნების 90-მდე სახელმწიფოსა და ორგანიზაციის წარმომადგენლები.

კონფერენციამ მიიღო აგრეთვე „ჯაკარტის მიმართვა მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი".

ზ. ვ. ანჩაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი — ისტორიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, 1968 წლიდან სკკპ წევრი ზურაბ ვიანორის ძე ანჩაბაძე.

ზ. ანჩაბაძე დაიბადა 1920 წელს. სოხუმის აფხაზური საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1948 წელს ზ. ანჩაბაძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1956 წელს ახალგაზრდა მეცნიერი აფხაზეთში დაბრუნდა. ორი წლის განმავლობაში იგი იყო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

1958 წელს ზ. ანჩაბაძეს სამუშაოდ იწვევენ თბილისში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილების გამგის თანამდებობაზე. დაახლოებით თხუთმეტი წელი იმუშავა მან ამ თანამდებობაზე, სადაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა მისი ორგანიზატორული უნარი, მეცნიერის ნიჭი.

1960 წელს ზ. ანჩაბაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1963 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1973 წელს ზ. ანჩაბაძე ინიშნება სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად. მან დიდი წვლილი შეიტანა ინსტიტუტის ბაზაზე აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნაში, რომლის პირველი რექტორი იყო სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. მისი ხელმძღვანელობით ახალგაზრდა უნივერსიტეტი რესპუბლიკის დიდი პედაგოგიური და სამეცნიერო ცენტრი გახდა.

1979 წელს ზ. ანჩაბაძე აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ზ. ანჩაბაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერთა და მასწავლებელთა შორის. იგი კითხულობდა ლექციების კურსს კავკასიის ხალხთა ისტორიისა და სხვა დისციპლინებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მეცნიერმა დიდი წვლილი შეიტანა აფხაზეთის ისტორიის შესწავლაში უძველესი დროიდან ჩვენს დღეებამდე, ნაყოფიერად იკვლევდა საქართველოს ისტორიას, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხებს.

ზ. ანჩაბაძე ბევრი მონოგრაფიის, ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მნიშვნელოვანია მისი წვლილი „აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევების" შექმნაში. მეცნიერი ერთ-ერთი ავტორი და რედაქტორია მთელი რიგი წიგნებისა ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის ისტორიის საკითხებზე, „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევების" პირველი ტომისა. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეულის შექმნაში მონაწილეობისათვის ზ. ანჩაბაძეს 1981 წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

დიდი წვლილი შეიტანა ზ. ანჩაბაძემ მეცნიერთა მაღალკვალიფიციური ეროვნული კადრების მომზადებაში, მეცნიერული ცოდნის პოპულარიზაციაში. ნაყოფიერ მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობას იგი წარმატებით უხამებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. ზ. ანჩაბაძე არაერთგზის ყოფილა არჩეული პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრად და საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ზ. ანჩაბაძის ნაყოფიერი მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობა. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით, მედლებით, „სსრ კავშირის განათლების ფრიადოსნის" საპატიო ნიშნით.

წავიდა ჩვენგან თვალსაჩინო მეცნიერი, კომუნისტი, მგზნებარე პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება შეალია მეცნიერების უანგარო სამსახურს, მეცნიერთა და პედაგოგთა კადრების მომზადებას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმეს.

მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის, ენერგიული და პრინციპული კომუნისტისა და ღირსეული მოქალაქის, გულისხმიერი ამხანაგის ზ. ანჩაბაძის სახელი სამუდამოდ დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ანდრონიკაშვილი, ვ. მ. არზიანოვი, ბ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ბ. ვ. ნიკოლსკი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. მითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, გ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, მ. რ. პაპუნიძე, შ. ს. სანაკოევი, მ. კ. შარბაძე, ე. კ. ხარაძე, ა. პ. საყვარელიძე, დ. ი. ჩხიკვიშვილი, ბ. ა. მილიძიშვილი, გ. მ. ოქუჯავა, ვ. ი. ალავიძე, რ. მ. გუთბა, ნ. გ. საკანია, ო. გ. ზუხბაია, რ. გ. კეცბაია, ვ. ო. კობახია, გ. ი. კომოშვილი, ბ. ა. ლაკიძე, ა. მ. მოსკალენკო, ი. დ. უზილავა, ვ. მ. ცუგბა, ს. ა. სააკიანი, პ. ლ. ქვაჩახია, ნ. ნ. აშუბა, ქ. ნ. სიმონავა, შ. ე. შარტავა, ვ. ე. ალექსანდროვი, ხ. ნ. ჯიქია, ბ. ა. ძიძარია, ნ. ი. ქარქაშაძე, ვ. ტ. მიქანბა, ო. გ. მურღულია.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სკკპ წევრი, თვალსაჩინო მეცნიერი, უმაღლესი სკოლის ორგანიზატორი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ზურაბ ვიანორის ძე ანჩაბაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ხსოვნის სიტყვა

წავიდა ჩვენგან გამოჩენილი მეცნიერი, თავდადებული საზოგადო მოღვაწე და კარგი კაცი ზურაბ ანჩაბაძე. იგი ერთნაირი გულწრფელობითა და თავდადებით ემსახურებოდა ქართულ და აფხაზურ მეცნიერებასა და კულტურას, იბრძოდა ჩვენი ხალხების ერთობისა და ძმობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

— სრულყოფილი პიროვნება იყო ზურაბ ანჩაბაძე. ვისაც ჰქონია ბედნიერება მასთან ერთად ხანგრძლივად ემუშავა, მუდამ ვალში იქნება მის მიმართ, რადგან შეუძლებელი იყო მისი ვაჟკაცური სილაღის, სიბრძნის, ბავშვური გულჩვილობის, ამასთან ხასიათის სიმტკიცის, დიდი პასუხისმგებლობის, ცხოვრებისა და შემოქმედების რომანტიკული გააზრების, ადამიანური მომხიბვლელობის სიკეთე არ განეცადა.

ზურაბი იყო ფართო განათლებისა და ღრმა ერუდიციის მკვლევარი, ბრწყინვალე ისტორიკოსი. იგი ღრმად იყო ჩახედული არა მარტო აფხაზეთისა და საქართველოს, არამედ კავკასიის ხალხების ისტორიული ცხოვრების კუნჭულებში. ამასთან ამ ხალხების ისტორიას იკვლევდა არა ემპირიულად, ზედაპირულად, არამედ კრიტიკული თვალით, პატრიოტული მისწრაფებით, დღევანდელობის პოზიციიდან, და ყოველთვის ცდილობდა წინა პლანზე წამოეწია ფაქტები და მოვლენები, რომლებიც ამ ხალხებს აკავშირებდა და საუკეთესო ტრადიციებად ჩამოყალიბდა, დღესაც რომ დგანან ეროვნულობის, ინტერნაციონალიზმის, პროგრესის სამსახურში. ამის დასტურია მისი ფუნდამენტური ნარკვევები აფხაზეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიაზე, ფეოდალური და ბურჟუაზიული ხანის საქართველოზე, კავკასიელ ხალხთა კულტურის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემებზე.

ზურაბ ანჩაბაძე დიდხანს მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში და მუდამ იყო ამ სამეცნიერო დაწესებულების ერთ-ერთი საამაყო თავკაცი. იგი დაჯილდოებული იყო სანიმუშო ხელმძღვანელის უნარითა და ძვირფასი თვისებებით. ამის ნათელი ილუსტრაციაა მისი მოღვაწეობა ჯერ სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის, ხოლო შემდეგ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პოსტებზე.

ზურაბი პოპულარული და საყვარელი კაცი იყო მთელ აფხაზეთში. მას რჩევისა და დახმარებისათვის მიმართავდნენ, მისი სწამდათ ადამიანებს.

ბევრი საამაყო, მისაბაძი შვილი მისცა აფხაზეთმა ჩვენს ქვეყანას. ზურაბი მათ შორის ერთ-ერთი რჩეულთაგანია და მის სახელს მუდამ სათუთად და სიამაყით მოიხსენიებს შთამომავლობა.

აკაკი სურგულაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

აღვზარდოთ პატრიოტები, სამშობლოს დამცველები

ჩვენი რესპუბლიკის სულ უფრო მეტი ჭაბუკი ხდება საბჭოთა არმიის მეომარი, როცა ასრულებენ სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა სპორტის სათანრიგო ნორმატივებს. მტკიცდება ამიერკავკასიის მეომართა ურთიერთობა საქართველოს მშრომელებთან, შემოქმედებითი კავშირების ბრიგადები რეგულარულად დადიან ჯარის ნაწილებში, ხოლო სამხრეთის საზღვრების დამცველებმა, თავის მხრივ, შეფობა იკისრეს სასაზღვრო ზონაში მდებარე რამდენიმე სასწავლებლისადმი.

ასეთია გასული წლის ზოგიერთი შედეგი, რომლებზეც ლაპარაკი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკოორდინაციო საბჭოს ბიუროს თბილისში გამართულ სხდომაზე.

ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის მუშაობის თვისებრივად გაუმჯობესების მიუხედავად, აღინიშნა სხდომაზე, მის ცალკეულ უბნებზე უნდა გამოვიჩინოთ მეტი კონკრეტულობა და მიზანსწრაფულობა, მივაღწიოთ ყველა დასახული ღონისძიების რეალიზაციას, კერძოდ, კიდევ უფრო გავაქტიუროთ სამხედრო-პატრიოტული პროპაგანდა, მეტი ნიშნოსანთა მომზადება, მოვაწყოთ ჯარის ნაწილებში მწერლების, კინოდოკუმენტალისტების შემოქმედებითი მივლინებები საბჭოთა არმიის ცხოვრების შესახებ მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

სხდომის მონაწილეებმა განიხილეს 1984 წლისათვის მუშაობის გეგმა და წინადადებანი 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებისა და მოწყობის შესახებ.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ.

სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილებების გამგეები ნ. ჯანბერიძე და ა. საყვარელიძე. (საქინფორმი).

გვიხმობს საკავშირო ერთთვიური

თავდაცვით-მასობრივი მუშაობის ტრადიციული საკავშირო ერთთვიური, რომელიც საბჭოთა არმიისა და სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის 66 წლისთავს ეძღვნება, საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს სსრ დოსააფის რესპუბლიკურ სახლში.

რესპუბლიკაში ერთთვიურის მოწყობის გეგმა, რომელიც ერთად შეადგინეს საქართველოს ალკგ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს დოსააფის ცენტრალურმა კომიტეტმა, ითვალისწინებს ლექციებსა და საუბრებს: „საბჭოთა შეიარაღებული ძალები ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მძლავრი ფაქტორი, იმპერიალიზმის აგრესიული ძალების ალაგმვის საიმედო საშუალებაა", „სსრ კავშირის დოსააფი საბჭოთა შეიარაღებული ძალების საიმედო თანაშემწე და რეზერვია" და სხვა.

23 თებერვალს, საბჭოთა არმიისა და სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს, სკოლებში, ტექნიკუმებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში გაიმართება გაკვეთილები.

მოეწყობა მხატვრული და დოკუმენტური ფილმების კინოფესტივალი, რომელიც მიეძღვნება ქვეყნის შეიარაღებული ძალების გმირულ გზას დევიზით „იყავი მამათა ტრადიციების ერთგული".

დოსააფის კომიტეტებში, რესპუბლიკის პატრიოტული საზოგადოების სასწავლო და სპორტულ ორგანიზაციებში გაიმართება საზეიმო შეკრებები.

თავდაცვით-მასობრივი მუშაობის საკავშირო ერთთვიურის პროგრამაში დიდ ადგილს დაიკავებს რესპუბლიკური შეჯიბრებანი სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა სპორტში. (საქინფორმი).

ვალერი ჩკალოვის დაბადების 80 წლისთავი

სიცოცხლეშივე ლეგენდარული

ჩვენი დროის გამოჩენილი მფრინავის ვალერი ჩკალოვის სახელი მის სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. ამის საფუძველი გახდა ვ. ჩკალოვის ბიოგრაფიის, მისი საფრენოსნო სამსახურის ამსახველი ნამდვილი ფაქტები, რომლებიც ამ უნიჭიერეს კაცზე, არაჩვეულებრივად გონივრული გამჭრიახობის მქონე მფრინავის ვაჟკაცობაზე, თავდაჯერებულობასა და ნებისყოფის სიძლიერეზე მეტყველებს.

უმაღლესი პილოტაჟის ბრწყინვალე ოსტატმა ვ. ჩკალოვმა მნიშვნელოვნად გააფართოვა და გააღრმავა ავიაციის შესაძლებლობანი, დაამუშავა საჰაერო ბრძოლის ზუსტი მეთოდები, ხოლო პილოტაჟის ილეთებს, რომლებსაც იგი თვითონ ქმნიდა და ხვეწდა, საბჭოთა მფრინავები სამამულო ომის დროს მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში იყენებდნენ.

დიდია ვ. ჩკალოვის დამსახურება სამამულო მანქანებით შორეული ფრენისათვის საჭირო ტაქტიკისა და ოსტატობის შემუშავებასა და ათვისებაში. 1936 წელს ვ. ჩკალოვი გ. ბაიდუკოვთან და ა. ბელიაკოვთან ერთად ძირსდაუშვებლად გადაფრინდა მარშრუტით — მოსკოვ-პეტროპავლოვსკ-კამჩატკაზე და შემდეგ უდეს კუნძულზე. ამ მამაცობისათვის სამთავეს საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

1937 წლის ივნისში საბჭოთა თვითმფრინავის ეკიპაჟმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საჰაერო მეგობრები — ვ. ჩკალოვი, გ. ბაიდუკოვი, და ა. ბელიაკოვი, უდიდესი გმირობა გამოიჩინა — მოსკოვიდან ჩრდილოეთ პოლუსით გადაფრინდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ვანკუვერში. ეს იყო ნამდვილი გმირობაც და საბჭოთა საავიაციო ტექნიკის შესანიშნავი მიღწევაც.

სამწუხაროდ, ეს გამოჩენილი მფრინავი და სახელოვანი მოქალაქე იმავე 1937 წელს დაიღუპა ახალი, დიდი სისწრაფის თვითმფრინავის გამოცდის დროს.

პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს ვ. ჩკალოვის ღვაწლი. საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავთან ერთად მის მკერდს ამშვენებდა ორი ლენინის, წითელი დროშის ორდენები. საბჭოთა ხალხის მეხსიერებაში იგი დარჩა როგორც ჩვენი დროის გამოჩენილი მფრინავი, ნათელი პიროვნება, ნამდვილი პატრიოტი და სამშობლოს საყვარელი შვილი.

• • •

სურათზე: ვ. ჩკალოვი.

არაბული წიგნსაცავის გასამდიდრებლად

სირიელი მოქალაქის ლ. სალარაძის წიგნის ფონდი გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ამას წინათ ძვირფასი ნობათი მიიღეს. ეს გახლავთ დიდძალი ლიტერატურა არაბულ ენაზე, რომელიც ინსტიტუტს დამასკოს მკვიდრმა ლევან სალარაძემ გამოუგზავნა.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს თამაზ გამყრელიძეს და სთხოვა გამოეთქვა თავისი აზრი ამ ფაქტთან დაკავშირებით.

— ლიტერატურას, რომელიც ჩვენს ინსტიტუტს ასე უანგაროდ გადმოსცა ტომით ქართველმა კაცმა, დამასკოს მკვიდრმა ბატონმა ლევან სალარაძემ, დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში არაბისტიკის შემდგომი განვითარებისათვის, — თქვა თ. გამყრელიძემ.

ლიტერატურა ჩვენთან გადმოიგზავნა დამასკოში საბჭოთა კავშირის კულტურის ცენტრის მეშვეობით. ამის თაობაზე უფრო ვრცელ ინფორმაციას მოგაწვდით ცენტრის ყოფილი დირექტორი, ამჟამად ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **გოჩა ჯაფარიძე**, იგი ახლახან დაბრუნდა სამშობლოში.

ჩემი, მზრუნველი დიდი, რომ უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის ლ. სალარაძის მამულიშვილურ მოქმედებას, უთუოდ, სათანადოდ დააფასებს მთელი ჩვენი საზოგადოება.

— ლევან სალარაძე სირიის საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენელია, — გვიამბობს გ. ჯაფარიძე, — იგი აქტიურ როლს ასრულებს სირია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირის განვითარებასა და გაძლიერებაში. სამი ათეული წლის განმავლობაში ლ. სალარაძე ერთ-ერთი ორგანიზატორია საბჭოთა გამოფენისა, რომელიც რეგულარულად ეწყობა ხოლმე დამასკოს საერთაშორისო ბაზრობაზე.

ლ. სალარაძე 70 წლის ჭაღარა, დარბაისელი ქართველია, მშვენიერი ქართულით მოსაუბრე. კარგად იცის აგრეთვე ფრანგული, რუსული და არაბული ენები. ნახევარი საუკუნეა, რაც იგი სირიის მოქალაქეა, მაგრამ დღემდე სამშობლოს სიყვარულით ცხოვრობს, მჭიდრო კონტაქტები აქვს საქართველოსთან და მისი ხშირი სტუმარია. სხვათა შორის, ლ. სალარაძის ორი ქალიშვილი თბილისში სწავლობდა, ერთმა მათგანმა თბილისშივე შექმნა ქართული ოჯახი.

როგორც საბჭოთა კულტურის ცენტრის დირექტორს, ხშირად მქონდა მჭიდრო ურთიერთობა მოსკოვის მოსახლეობის სხვადასხვა წრესთან, ახლოს გავიცანი ლ. სალარაძეც. თავიდანვე მიიპყრო ჩემი ყურადღება იმან, რომ ამ კაცმა შესანიშნავად იცის ქართული ლიტერატურა, განსაკუთრებით — პოეზია. უსაზღვროდ უყვარს საქართველო, გამოწერილი აქვს ბევრი ქართული ჟურნალი, ხარობს ჩვენი რესპუბლიკის წარმატებებით, განსაკუთრებით ამ ბოლო წლების თვალსაჩინო მიღწევებით.

გაზეთ „კომუნისტის" მკითხველმა იცის, რომ შარშან, წლის ბოლოს, საქართველოს ესტუმრა სირიელი პოეტი და მთარგმნელი ნიზარ ხალილი, რომელმაც პირველმა თარგმნა არაბულად „ვეფხისტყაოსანი". ლ. სალარაძე წლების მანძილზე ფინანსურ დახმარებას უწევდა ნ. ხალილს პოემის თარგმანზე. მუშაობის დროს. როცა ქართველმა არაბისტებმა თარგმანი დიდებითად შეაფასეს, მან ნ. ხალილის დამასკოში გადაუხადა ჰონორარი და იკისრა პოემის არაბულ ენაზე გამოცემის მთელი ხარჯები.

პირად საუბრებში ბატონი ლევანი ხშირად ეხებოდა ხოლმე როგორც „ვეფხისტყაოსნის" თარგმნის, ისე ქართული კულტურის სხვა საკითხებს. ერთ-ერთი საუბრის დროს მან გამოთქვა სურვილი, ქართველი არაბისტებისათვის საჩუქრად გაეგზავნა ლიტერატურა არაბისტიკაში. სხვათა შორის, მსგავსი რამ მან ადრეც გააკეთა. ამ რამდენიმე წლის წინათ ასეთი ლიტერატურა უბოძა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

ლ. სალარაძის სურვილი გავაცანით გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექციას, რომელიც ამ განზრახვას დიდი კმაყოფილებით შეხვდა. და აი, შარშან, წლის მიწურულს, დამასკოში საბჭოთა კავშირის კულტურის ცენტრის მეშვეობით ლ. სალარაძემ ინსტიტუტს გამოუგზავნა 125 დასახელების წიგნი, რომელთა საერთო რაოდენობა 275 ტომს შეადგენს.

სალარაძისეული ლიტერატურა მოიცავს არაბისტიკის სხვადასხვა სფეროს. აქ წარმოდგენილია განმარტებითი და დარგობრივი ლექსიკონები, შუა საუკუნეების არაბ პოეტთა და მწერალთა კრებულები, ბიოგრაფიული, გენეალოგიური, ფილოსოფიური და ისტორიული ლიტერატურა, არაბული გეოგრაფიის, ასტრონომიისა და მინერალოგიის წყაროები, ხელნაწერთა აღწერილობანი და სხვადასხვა სახის ცნობარები.

ამ ლიტერატურის უდიდესი ნაწილი, საერთოდ, არ მოიპოვება თბილისის ბიბლიოთეკებში, ანდა ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ასეთია, კერძოდ, არაბი ლექსიკოგრაფების ფაირუზაბადის (XV ს.) 4-ტომიანი და მურთადა ზაბიდის (XVIII ს.) 10-ტომიანი არაბული განმარტებითი ლექსიკონები, ფენისის 6-ტომიანი ლექსიკონი და კონკორდანსი ჰადისების შესახებ, დოზისა და ფაგნანის არაბულ-ფრანგული ლექსიკონები, არაბულ-ინგლისური დარგობრივი ლექსიკონები მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში.

ბიოგრაფიული ლიტერატურიდან გამოვყოფთ XIII საუკუნის ავტორების: იბნ აბი უსაიბიას, ან-სუბქისა და იბნ ალ-ასირის მრავალტომიან თხზულებებს, ფილოსოფიურიდან — XI საუკუნის „წმინდა ძმების" 4-ტომიან ტრაქტატს, ისტორიულიდან — ალ-მაკრიზის (XV ს.) 12-ტომიან, ალ-ჰანბალის (XVII ს.) 8-ტომიან და ალ-ჯაბართის (XVIII ს.) 3-ტომიან თხზულებებს, რომლებიც საინტერესო ცნობებს შეიცავენ საქართველოს შესახებაც.

არაბული ლიტერატურის ისტორიის შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იბნ ან-ნადიმის (X ს.) „ფიჰრისტს", აბულ-ფარაჯ ალ-ისფაჰანის (X ს.) 24-ტომიან „სიმღერათა წიგნს" და იაკუთის (XIII ს.) 20-ტომიან „ლიტერატორთა ლექსიკონს".

ლ. სალარაძის ნობათის წყალობით დღეს ჩვენ მოგვეპოვება თითქმის ყველა გამოჩენილი არაბი პოეტის — მათ შორის აბუ ნუვასის, აბულ-ალა ალ-მაარის, ალ-მუთანაბის, აბუ თამამისა და ალ-ბუხთურის ლექსების სრული კრებულები.

დიდი მნიშვნელობა აქვს დამასკოს უდიდესი წიგნსაცავის აზ-ზაჰირიასა და ალეპოს მეცნიერების ისტორიის ინსტიტუტის ხელნაწერთა მრავალტომიან აღწერილობებს.

ინსტიტუტის დირექციის გადაწყვეტილებით ეს ლიტერატურა ცალკე ფონდად გამოიყოფა. ფონდი თანდათან შეივსება ახალი წიგნებით, რომელთა გამოგზავნა ბატონ ლევან სალარაძეს მომავალში აქვს განზრახული.

როგორც ცნობილია, დღეს თბილისის სამ საშუალო სკოლაში ისწავლება არაბული ენა. ლ. სალარაძის მიერ გამოგზავნილ წიგნებში არის აგრეთვე კარგად ილუსტრირებული სახელმძღვანელოები არაბულ ენაზე დაწყებითი კლასებისათვის.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ლევან სალარაძის ნობათის ღირებულება უაღრესად დიდია. ის მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენში არაბისტი კადრების მომზადებასა და ქართული არაბისტიკის შემდგომ განვითარებას.

თავს უფლებას მივცემ, ყველა ქართველი არაბისტის სახელით მადლობა მოვახსენო ამ ნამდვილ მამულიშვილს ასეთი კეთილშობილური მოქმედებისათვის და ვუსურვო დღეგრძელობა, ჯანმრთელობა და წარმატებები ცხოვრებაში.

„ოქროს ქალღმერთი" და სარეკლამო აურზაური

ფიხბურთში მსოფლიო ჩემპიონთა თასის „ოქროს ქალღმერთის" გამტაცებლები რომ შეიპყრეს, მკითხველებმა უკვე იციან. საერთოდ, ამ პრიზის თაობაზე უცხოეთის პრესაში სხვადასხვა ცნობა ქვეყნდება. მაგალითად, ცნობილმა ბრაზილიელმა მოქანდაკემ ჟაიმე სამპაიომ, რომელიც ამავე დროს ოქრომჭედლის ხელობასაც არის დაუფლებული, განაცხადა: მე მგონია, გატაცებული „ოქროს ქალღმერთი" მხოლოდ და მხოლოდ ასლია. მან შეისწავლა მეორე მსოფლიო ომამდე და მის მერე თასის ფოტოსურათები და მათში ბევრი განსხვავება აღმოაჩინა: „ქალღმერთის" ჩაცმულობის დეტალებში, ზოგიერთ სურათში ხელების სხვადასხვანაირ განლაგებაში და ა. შ. „ჟორნალი დუ ბრაზილი" აღნიშნავს, რომ უკანასკნელ გატაცებამდე ეს პრიზი ორჯერ დაიკარგა: მეორე მსოფლიო ომის დროს მას ნაცისტებისაგან მალავდა იმ დროის მსოფლიო ჩემპიონების — იტალიელთა ნაკრების მწვრთნელი ოტორინო ბარასი. მეორედ თასი გაქრა 1966 წელს — ინგლისში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე 8 დღით ადრე.

— ომისშემდგომ ბარასის მიერ დაბრუნებული თასი ნამდვილი გახლდათ? — 1966 წელს ნაპოვნი თასი შეცვლილი ხომ არ იყო? — სვამს კითხვას ბრაზილიის პოპულარული ჟურნალი.

ახლა მოპარული თასი ასლია თუ ნამდვილი, ამის გაგება უკვე შეუძლებელია, ვინაიდან, როგორც ბრაზილიის პოლიციამ განაცხადა, იგი გამტაცებლებმა გაადნეს.

ამასობაში ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ გადაწყვიტა ინგლისში დაუკვეთოს „ოქროს ქალღმერთის" ახალი ეგზემპლარი. ამასთან დაკავშირებით ამერიკულმა ფირმამ „კოდაკმა" თავისი სამსახური შესთავაზა ფეხბურთის კონფედერაციას და განაცხადა, რომ ხარჯებს ამ საქვეყნოდ ცნობილი პრიზის დამზადებისათვის, რომელიც 1800 გრამს იწონის, თავად გაიღებს. ბრაზილიის პრესის აზრით, ფირმის ეს „საქველმოქმედო" ნაბიჯი მოქნილი სარეკლამო ხერხია დასავლეთგერმანულ და იაპონურ კონკურენტებთან მეტოქეობაში, ვინაიდან ეს სარეკლამო აურზაური მათ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატებზე მილიონობით შემოსავალს უქადის.

საგამოფენო დარბაზებში

ყველამ, ვინც თვალს ადევნებს საქართველოს სახალხო მხატვრის ნოდარ მალაზონიას შემოქმედებას, იცის მისი მრავალმხრივი ინტერესები, იგი ისეთ დარგს ემსახურება, რომელიც ობიექტურად ერთფეროვნებას ვერ იტანს. ნოდარ მალაზონია გრაფიკოსია (თუმცა აქვს ფერწერული ნამუშევრებიც), ხოლო გრაფიკის შესაძლებლობანი უსაზღვროა ტექნიკით, დანიშნულებით, გამოსახვის საშუალებებით, უამრავი სხვა კომპონენტით. გავიხსენოთ თუნდაც მისი დიაპაზონი — წიგნის ილუსტრაციებით დაწყებული და გამოყენებითი გრაფიკით დამთავრებული, ტერმინი „გამოყენებითი" პირობითია და ამის დასტურადაც ნ. მალაზონიას შემოქმედება გამოდგება — რეკლამას ხომ ძირითადად „გამოყენებითი" ფუნქციები აკისრია! ამ ფუნქციის მაღალმხატვრულ ფორმად ჩამოსხმის თვალსაჩინო მაგალითია ნ. მალაზონიას მიერ „ინტურისტისათვის" შექმნილი სარეკლამო პლაკატების სერია „ეწვიეთ საქართველოს!"

უპირველესი, რაც ყურადღებას იქცევს ნ. მალაზონიას გამოფენაზე, გახლავთ შემოქმედის აქტიური მხატვრული და მოქალაქეობრივი პოზიცია (ხაზს ვუსვამთ — „აქტიური", რადგან პასიურობაც, გულგრილობაც ხომ პოზიციაა და ალბათ ერთ-ერთი ყველაზე შემაძრწუნებელი, ჩვენი სულის დამბლას რომ უწოდებს!).

ნ. მალაზონიას აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის მაჩვენებელია თუნდაც ის პლაკატები, რომლებიც ომის საშინელების წინააღმდეგ არის მიმართული და რომელთა შემოქმედების ძალას განსაკუთრებით ზრდის მათი მაღალმხატვრულობა, ასეთია, მაგალითად, „ეს არ მოხდება!" ან „1941-1945". გავიხსენოთ, რა თავდაჭერილი და ზომიერი ხერხებით ამყარებს მხატვარი კონტაქტს მაყურებელთან და რა გლობალურ თემაზე ესაუბრება მათ თითქოსდა უბრალო ენით: პირველი პლაკატი — ქვაფენილზე ხის ატირებული ჩვილი, მის გვერდით ყვავილი აგდია, უკანა პლანზე კი მინიშნებულია მექანიკური, უსულო რიტმი უზომი სალდათური ფეხსაცმელებისა; მეორე პლაკატი — ორ რეგისტრად აგებული ორი ფანჯარა: ზემოთა — დაკეტილი და გაზეთის ნაჭრებით გადაჯვარედინებული, მის გვერდით წარწერა შავი შრიფტით — „1941". ქვემოთა ფანჯარა — ყურთამდე ღია და ხალისიანი, რაფაზე ერთი მცირე თაიგულით შემკული; მის გვერდით წარწერა წითელი შრიფტით — „1945".

ორივე ნაწარმოები კომპოზიციისა და რიტმის განსაკუთრებული გრძნობით ხასიათდება, რაც აგრერიგად ნიშანდობლივია ნ. მალაზონიას შემოქმედებისათვის. გვახსენდება დიდი კომპოზიტორის გლუკის სიტყვები: „უბრალოება, სიმართლე და ბუნებრიობა — აი მშვენიერების სამი უდიდესი პრინციპი ხელოვნების ყველა ნაწარმოებში!"

ეს უბრალოება, სიმართლე და ბუნებრიობა, დახვეწილ ოსტატობასთან შერწყმული, სწორედ ის ნიშნებია, აღიარება რომ მოუტანეს ნ. მალაზონიას როგორც გრაფიკოსს. პლაკატმა „ეს არ მოხდება!" მრავალი საკავშირო თუ საერთაშორისო პრემია დაიმსახურა, ხოლო პლაკატების წყებული პლაკატის წმინდა გამოსახველობითი მხარე და თბილი იუმორით შეფერილი სიტყვით მიზიდვის სარეკლამო ხერხი.

ალბათ, დიდი ბედნიერებაა მწერლისათვის, როდესაც მისი შემოქმედებითი მრწამსი, მისი მხატვრული ალქმის თანამოაზრე წიგნის მხატვარი, ასეთი ბედნიერი დამთხვევის მაგალითია ნ. დუმბაძისა და ნ. მალაზონიას შემოქმედებითი ურთიერთობა. საკმარისია ითქვას, რომ მწერლის თითქმის ყველა ნაწარმოების ილუსტრატორი სწორედ ნ. მალაზონიაა. თვალის სიზუსტე და ოსტატობა ახასიათებს ნ. მალაზონიას უკვე ადრეულ ჩანახატებსაც (ლენინგრადის, ტალინის, გურიის ხედები).

გვინდა აღვნიშნოთ ნ. მალაზონიას როგორც მხატვრული ხერხების მაძიებელი შემოქმედის ბუნება. მან უმალ უღლი ალღო

შემოქმედის აქტიურობა!

სერიამ „ეწვიეთ საქართველოს!" 1978 წელს იტალიაში გამართულ ტურისტული პლაკატების მეოთხე გამოფენაზე ერთდროულად ორი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა — ვერცხლის მედალი, რომელსაც გამოფენის დამთვალიერებლები ანიჭებენ (იქნებ ეს პრაქტიკა ჩვენშიც შემოვიღოთ — ბილეთს აქვს მოსახევი ტალონი, რომელზეც მოწონებული ნაწარმოების ნომერი აღინიშნება, ტალონს ურნაში უშვებენ; შემდგომ ხდება ამ ნომრების გადათვლა. ხერხი მარტივია და ალბათ საზოგადოებრივი აზრის ობიექტური გამომხატველი) და „ოქროს სპილო", რომელსაც კონკურსის ავტორიტეტული ჟიური ანიჭებს. ეს უპრეცედენტო გამარჯვება, ჩვენი აზრით, მხატვარს იმიტომაც მოუტანა, რომ იგი კარგად იცნობს და ფლობს ისეთ რთულ ფენომენს, როგორიცაა „რეკლამის ფსიქოლოგია". ნ. მალაზონიამ იცის, თუ რით უნდა დააინტერესოს მნახველი, რა ფორმით და რა დოზით უნდა მიაწოდოს მას თემა.

სამაგალითოდ კიდევ ერთ პლაკატს მოვიშველიებთ: „რიჩარდ III" — რამაზ ჩხიკვაძეა გამოსახული მხატვრის მიერ კომპონირებულ ფონზე; პლაკატს (დიახ, პლაკატს და არა აფიშას) აქვს მინაწერი: „ქალბატონებო და ბატონებო! თუ თქვენ არ გქონდათ ბედნიერება გენახათ რომელიმე ჩვენი საგასტროლო წარმოდგენა ინგლისში, დასავლეთ გერმანიაში, მექსიკაში, საბერძნეთში, იუგოსლავიაში, საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიასა ან შოტლანდიაში, გულს ნუ გაიტეხთ, ჩამობრძანდით თბილისში და ვნახავთ რუსთაველის დრამატულ თეატრში. „რიჩარდ III"; აქ საუცხოოდ არის შერწყმული გრაფიკული ხელოვნების ძალა განსჭვრეტის, ავტორის მიერ ფოტოგრაფიის შესაძლებლობის და გამოყენების ფართო ასპარეზი. საგაზეთო წერილში შეუძლებელია დაწვრილებით ვილაპარაკოთ ამ ხერხზე, მოვიშველიებთ თვით ნ. მალაზონიას წერილს, რომელიც „სოვეტსკოე ფოტოში" გამოქვეყნდა (1980, № 10): „როგორ მივედი ფოტოგრაფიამდე?" (იგულისხმეთ ფოტოგრაფიკა. თ. ფ.) — „როდესაც პლაკატით დავინტერესდი — ეს იყო დიდი ხნის წინათ — მე წავედი ტრადიციული, უფრო ზუსტად, ძველმოდური ფოტოგრაფიისა და ნახატის მექანიკური გაერთიანების გზით. ეს ხერხი, ვფიქრობ, გასაგებია — ფოტოგრაფიიდან ამოიჭრება საჭირო ნაწილი და ჩაერთვება რომელიმე გრაფიკულ გამოსახულებაში. მივედი რა ასეთ კოლაჟებს, მალე ვიგრძენი აუცილებლობა, რომ თვითონვე გადამეღო და უკვე გადაღებისას ჩამედო ფოტოგრაფიაში განსაზღვრული მხატვრული იდეა, ლაბორატორიაში კი საბოლოოდ გადამეწყვიტა თემა..."

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, ფოტოგრაფიკა არის მხატვრის თვალით გაცოცხლებული ობიექტები, თითქოსდა უბრალო სურათის ამეტყველება, მხატვრის მიერ წინასწარ გააზრებული „დადგმა" ან მომენტური ფიქსაცია მხატვრის თვალით დანახული ფორმისა, მოცულობისა, რომელიც შემდგომ საერთო ჩანაფიქრის საფუძველი ან ნაწილი ხდება. ცხადია, რომ წმინდა ფოტოგრაფიის მიღწევების გარეშე ფოტოგრაფიკაც ვერ წარმოიშობოდა.

ფოტოგრაფიკის გამოყენების დიაპაზონი კი საკმაოდ ფართოა. და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ჩვენში აღმოჩნდა ამ საქმის დიდი ენთუზიასტი, ბუნებით, ნიჭით, უნარით, განსწავლულობით — გრაფიკოსი, რომელმაც შესანიშნავად გაიაზრა და შეითვისა ფოტოგრაფიკის შესაძლებლობანი და მცირე ხნის მანძილზე შექმნა ნაწარმოებები, რომლებმაც საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. ალბათ, ნ. მალაზონიას შემდგომი ამოცანა თანამზრახველთა და შეგირდთა შემოკრება და ამ ახალი დარგის განვითარებაა.

თ. ფერაძე,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი.

სურათებზე: სარეკლამო პლაკატები „ინტურისტისათვის" ციკლიდან „ეწვიეთ საქართველოს" „დიუმა საქართველოში" და „უძველეს ეკლესიებში ამაღლდება უძველესი საგალობლები".

სამართალდარღვევა: ვინ აგებს პასუხს?

ხრამში გადაიჩეხა

საღამოს პითურის ზონის სოფელ რეხილათთან რაიონის ქვით დატვირთულ „მაზ-503" მარკის (სახელმწიფო ნომერი 50-46 გაიფ) სატვირთო ავტომანქანას ლეშართზე ძრავა ჩაუქრა, მძღოლმა ანზორ ლევანის ძე ჩაფიძემ ვერ შეაჩერა უკან დაგორებული ავტომობილი და ხრამში გადაიჩეხა. მძღოლი და კაბინაში მჯდომი ერთი მგზავრი ადგილზე გარდაიცვალნენ, ხოლო მეორე მგზავრი დაშავდა.

სატვირთო ავტომანქანა ეკუთვნის საქჰიდროენერგომშენის წყალტუბოს ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების № 2 ავტოსატრანსპორტო საწარმოს (დირექტორი — გიზო მშვენიერაძე). საწარმო მდებარეობს წყალტუბოს ზონის ვარციხის დასახლებაში და მისი 85 ავტომობილი ემსახურება ვარციხჰესის მშენებლობას. 14 იანვარს ამ სატვირთო ავტომანქანას უნდა ემუშავა ბაგდათ-ქუთაისის მარშრუტით ქ. ქუთაისის საგზაო-სამშენებლო სამმართველოს ობიექტებზე. მძღოლმა ა. ჩაფიძემ მიატოვა სამუშაო და სატვირთო ავტომანქანით წავიდა თავის სოფელ რეხილათში, სადაც მეზობლებთან ერთად სასოფლო გზის შესაკეთებლად გადმოიქონდა მდინარე ხევწირღელედან რიყის ქვა, და ერთ-ერთი რეისის დროს დატრიალდა ეს ტრაგედია.

ავტოსატრანსპორტო საწარმოში დაბალია და ხშირად ირღვევა შრომის დისციპლინა, სათანადო ყურადღება არ ექცევა ავტომობილების ტექნიკურ გამართულობას, სამუშაოდ გასვლის წინ შემოწმებული ავტომანქანების 50 პროცენტი ტექნიკურად გაუმართავი აღმოჩნდა. თვითნებობამ, უკონტროლობამ და ავტომობილის არადანიშნულებისამებრ გამოყენებამ ხელი შეუწყო ავტოსატრანსპორტო შემთხვევას.

ბ. გორელი.

ინფორმაცია—84 ● ინფორმაცია—84

მაყურებელმა ნახა პრემიერა

სოხუმი. (საკ. კორ.). სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა გივი ჭიჭინაძის პიესა „უკვდავებისკენ კიდის მატარებელი".

სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და დირექტორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა გ. ქავთარაძემ. რეჟისორია პიესის ავტორი — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, მხატვარი — ახალგაზრდა ხელოვანი გ. გეგეჭკორი, მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ რ. სეფისკვერაძეს.

როლებს განასახიერებენ საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტები ბ. თოფურიძე, ფ. შეროზიამ, თ. ბაბლიძემ, აფხაზეთის ასსრ დამსახურებულმა არტისტებმა თ. მილდიანმა, ლ. მიქამავაძემ, ლ. პაპუაშვილმა, მსახიობებმა დ. გიჩიბილაძემ, ნ. ჭანტურიამ, ლ. ლოგუამ, ს. ურიადმყოფელმა და სხვებმა.

ახალი სპექტაკლი მაყურებელმა ინტერესით მიიღო.

თელავი. (საკ. კორ.). თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა ახლახან წარმოადგინა პრემიერა — გ. ბათიაშვილის ერთმოქმედებიანი პიესისა „წერილები შვილებს".

სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის „ხუთწლედის მატიანის" 1983 წლის ლაურეატმა ა. ქანთარიამ, მხატვრულად გააფორმა ლ. როსტომაშვილმა, მუსიკალურად — ნ. გაგნიძემ, რეჟისორია თ. ხუნაშვილი.

სპექტაკლში მონაწილეობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ო. შუბითიძე, ჯ. პაპიაშვილი, გ. მამუჩიშვილი, მსახიობები ე. ბაბილაშვილი, ლ. ასლამაზაშვილი, გ. მანველი, თ. ხუნაშვილი, დ. ღლონტი.

მასწავლებლის ძვირფასი სახე

„**ამჟამად** მაღელვებს მოზარდებში სწავლისადმი, მეცნიერებისადმი, შრომისადმი, ლენინური დამოკიდებულების პრობლემა. რას ნიშნავს ეს? მაღალი შეგნება, პასუხისმგებლობის გრძნობა მინდობილი საქმისადმი, მოვალეობის გრძნობა, — აი, რა არის ლენინური დამოკიდებულება სწავლისა და შრომისადმი". ამ სიტყვების ავტორი დიდი რუდუნებით ემსახურებოდა სწავლა-აღზრდის მეტად საპატიო საქმეს. სწორედ სწავლა-აღზრდის ჰუმანიზმის გზების ძიებამ, ფართოდ განათლებული ადამიანის წინაშე ეფექტური მეთოდების გამოქვებამ მიიყვანა პედაგოგიურ ოლიმპზე სოფლის მასწავლებელი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი ვასილ ალექსანდრეს ძე სუხომლინსკი.

„ამბავი მასწავლებელ სუხომლინსკიზე" ასეთი სათაური აქვს მწერალ ბ. ტარტაკოვსკის წიგნს. წინასიტყვაობის ავტორია სამამულო ომის დღეების მამაცი მზვერავი, ლიტერატურაში ცნობილი „მაიორ ვიხრის" პროტოტიპი გ. ზერეზნიაკი. მწერალმა ნაწარმოებში გამოიყენა მასწავლებელ ვ. სუხომლინსკისთან საუბრის ჩანაწერები. აქ მოცემულია ჰუმანური და კეთილშობილი ადამიანის სახე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შეალია ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეს.

წიგნი ქართულად თარგმნა მწერალმა და კრიტიკოსმა ვასო ბაიაძემ (გამომცემლობა „განათლება", რედაქტორი ალ. გაბესკირია). ეს წიგნი კარგი საჩუქარია ყველა იმათთვის, ვინც სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება.

გ. ლომთაძე.

სახლ-მუზეუმს შეემატა

ცაგერი. (საკ. კორ.). სოფელ ბარდნალაში ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმს შეემატა პოეტის დღემდე უცნობი ხელნაწერები, იგი მუზეუმს გადასცა პოეტის ნიჭისა და შემოქმედების დიდმა თაყვანისმცემელმა, თბილისელმა პენსიონერმა მარიამ ჯაფარიძემ.

დამთვალიერებლები ახლა აქ ინტერესით ეცნობიან ლადოს მიერ ფანქრით სავარჯიშოდ გადაწერილ და ჩასწორებულ ლექსებს „რა ქართველი ხარ", „საქართველო იყო მათი სოცენბო სახელი"; „ციხის სიზმარი"; „პირველი მჭედლები"; „ძაბინძა"; „მანანა ორბელიანის სურათზე"; „ქართველი ოქრომჭედლების სიმღერა"; „ნადირობის შემდეგ" და პოემას „ბასიანის ბრძოლა".

პოეტის სიცოცხლე გრძელდება

ქიდევ ერთი საინტერესო სიახლე შეემატა თიანეთს, აქ გაიხსნა პოეტ-ჟურნალისტის, რუსთაველისა და საქართველოს კომკავშირის პრემიების ლაურეატის მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმი. პოეტის სახლში, მამისეულ კარაზე თავი მოუყარეს სხვადასხვა ექსპონატებს, საოჯახო ნივთებსა და სხვა სამახსოვრო სუვენირებს, და ახლა, აქ თითოეულ მომსვლელს მირზას სიტყვა კვლავ ჩვეული ფრთიანობით ეხმაურება — „ჩემი ლექსები, როგორც მილოცვა, მათ, ვინც არასდროს არ მივიწყებენ".

ექსპონატების მოძიება და მუზეუმის სრულყოფა კი გრძელდება. გათვალისწინებულია პოეტის მამისეულ სახლს მიეცეს პირვანდელი სახე, აქვე მოეწყოს ეთნოგრაფიული განყოფილება, სადაც წარმოდგენილი იქნება ივრის ხეობისა და, საერთოდ, ამ კუთხისათვის დამახასიათებელი ნივთები და ყოფითი დეტალები, რაც უფრო სრულად წარმოაჩენს იმ გარემოს, სადაც იზვა და გაიფურჩქნა მირზა გელოვანის თვითმყოფადი ნიჭი.

...ლექსად და ლეგენდად დაბრუნებული პოეტის სიცოცხლე გრძელდება.

გ. ხახიაური.

სამახსოვრო საჩუქრები — ვეტერანებს

სამტრედია. (საკ. კორ.). პარტიის სამტრედიის რაიკომში გაიმართა პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებთან შეხვედრა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა რაიკომის პირველმა მდივანმა თამაზ იმედაძემ. მან ლეგენდარული ადამიანებს გააცნო რაიონის წინაშე დასახული 1984 წლის ამოცანები.

შეხვედრაზე გამოსულმა ვეტერანებმა ა. ჩიქოვანმა, გადამდგარმა გენერალმა ა. ზამთარაძემ, რაიკომის ბიუროს წევრებმა ს. ნინუამ, მ. მელქაძემ, ა. ფოცხვერაშვილმა და სხვებმა ილაპარაკეს ღვაწლმოსილი ადამიანების მიერ ბრძოლითა და შრომით მოპოვებულ სასახელო მაჩვენებლებზე, სამშობლოს საკეთილდღეო საქმეებზე.

პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები.

იღებენ მოსკოვის პროგრამას

ამბროლაური. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები კარგა ხანია, რაც საკავშირო ტელევიზიის პირველი პროგრამის მიღებას ელოდნენ. ამ სიახლის დანერგვას რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმაც ითვალისწინებდა.

ამ დღეებში, ამბროლაურელებმა ცისფერ ეკრანებზე უკვე მიიღეს ცენტრალური ტელევიზიის გადმოცემები.

• •

სატურნირო ორბიტა

ბადრაკი. ვილნიუსში დაიწყო ახალგაზრდა ოსტატთა საკავშირო პირველობა. შეჯიბრების პირველ დღეს თბილისელი სტურუა დაუზავდა ნოვიკოვს, კენგისი — ხარიტონოვს, გელფმა მოუგო ასეევს, შნეიდერმა — მაიოროვს, კაიდანოვმა — როზენტალისს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ჰოკეი. კიევში გაიმართა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდების მეორე სამატჩო შეხვედრა. ამჯერად გაიმარჯვეს ამერიკელებმა — 6:3 (პირველი მატჩი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს ანგარიშით 8:4).

თავისუფალი ჭიდაობა. ორჯონიკიძეში გამართულ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდების შეხვედრაში ფრე აღინიშნა (5:5), გროზნოში მოწყობილ განმეორებით მატჩში კი საბჭოთა ათლეტებმა იზეიმეს გამარჯვება (8:2).

ველოსპორტი. მოსკოვში კრილატსკოეს ტრეკზე გამართულ საკავშირო ზამთრის ჩემპიონატზე ერთსაათიან სალიდერო რბოლაში მსოფლიო რეკორდი დაამყარეს მოსკოველებმა — ა. რომანოვმა (სტაიერი) და ა. შოპინმა (ლიდერი). ერთ საათში მათ 86 კმ. და 274 მეტრი გაიარეს. ამ. დუეტმა 50 კილომეტრზე სალიდერო რბოლაშიც მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 34 წუთი და 59,962 წამი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96.
ლენინის ქ. 14.

რ ე დ ა ქ ც ი ა:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-14, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-72-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 202-94-92; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-38; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-08-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-50-36, თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-09; ტყიბული — 15-52.

მოსკოვი

2 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.20 — მღერის ლ. კურლიუმოვა. 9.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 10.25 — მხატვრული ტელეფილმი „მდიდარი, ღარიბი...". მეორე სერია. 11.40 — ფილმ-კონცერტი. 12.40 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — სოციალისტური ქვეყნების დოკუმენტური ფილმები. 16.35 — ნორჩთა შემოქმედება. 17.00 — კინონარკვევი. „შრო ლანკა — მშვენიერი კუნძული". 17.25 — ახალი ამბები. 17.30 — სახელმწიფო საქმენი — სახალხო საქმენი „დეპუტატი პასუხს აგებს ამომრჩევლებისათვის". 18.00 — დ. შოსტაკოვიჩი — სიმებიანი კვარტეტი № 3. 18.40 — საჭადრაკო სკოლა. 19.10 — მოსწავლეთა შეხვედრა შრომითი დიდების ორდენის სრულ კავალერთან, ქარხანა „კომპრესორის" ხარატთან ვ. ა. ლუნევთან. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. სოციალისტური ეკონომიკის მართვა. 20.35 — მხატვრული ტელეფილმი „მდიდარი, ღარიბი...". მესამე სერია. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მუსიკალური გადაცემა. 23.40 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 12.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.35 — ზოგადი ბიოლოგია. მე-10 კლასი. 10.05 — ესპანური ენა. 11.05 — ვ. მულევის პოეზია. 11.35 — ზოოლოგია. მეშვიდე კლასი. 12.00 — დედის სკოლა. 13.10 — ბუნებისმეტყველება. მესამე კლასი. 13.30 — ლ. ნ. ტოლსტოი — „შეჯიბრის შემდეგ". 14.30 — ი. პავლოვი. 15.05 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „დაკარგული ექსპედიცია". პირველი სერია. 16.10 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — სოფლის საათი. 20.25 — მშვიდობა და ახალგაზრდობა. 21.00 — „მიდი ნებისა, პატარებო!". 21.20 — ფილმ-კონცერტი. 21.30 — მეტი კარგი საქონელი. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „არ დაუთმო ნაბიჯი ვერე". 23.55 — ახალი ამბები.

ჩვენს ტელეეკრანებზე

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — კინონარკვევი „მისკარი". 9.30 — „მოამბე". 10.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბერმუდის კუნძულები". 10.15 — ქართული მხატვრული ფილმი — „ნატვრის ხე". 11.55 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ციკარა" — თოჯინური სპექტაკლი „ასი მეგობარი". 13.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ფრენდი და მთელი სიცოცხლე". 13.30 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია (ნ. სიხარულიძე). 14.00 — ახალი ამბები. 14.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ალტი კარლიევი". 16.00 — ახალი ამბები. 16.10 — შევისწავლოთ ფრანგული ენა (გადაცემას უძღვებიან მ. დობტურაშვილი და გ. ნაცვლიშვილი). 16.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვენეცია". 17.00 — პროგრამა მოსწავლეთათვის — მულტიპლიკაციური ფილმები. „ასეთი საქმეები", „ონავარ კაცზე" და „მწვანე ზღაპარი". 17.40 — „დიადი გამარჯვების 40 წელი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლეგენდა ტანკზე". 19.15 — „წესრიგი მველგან და მველაფერში"—„ექო". 19.45 — „დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" (მ.). 20.30 — „მოამბე". 21.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მაესტრო". 21.35 — ახალგაზრდობისათვის — „დიალოგი იური როსტთან". 22.00 — „ვრემია". 22.35 — ხვალ ტელეეკრანზე. 22.40 — ქართული მხატვრული ფილმი „გიორგობისთვე". 00.10 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ტელესკოპები". 16.50 — განცხადებები. 16.55 — კინონარკვევი „უკიდურესი სამხრეთი". 17.05 — მასწავლებლის საათი — რუსული ენა. 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აკადემიკოსი სობოლევი. ციმბირული ფურცლები". 18.10 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია.

თეატრი

2 თებერვალი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სევილიელი დალაქი (სსრ კავშირის სახალხო არტისტის ნარ ოვანესიანის მონაწილეობით); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ათვინიერებენ მიმინოს; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მარადისობის კანონი; თბილისის სახელმწიფო დრამატული — საზრდელი ჯახკვენა (1-ლი აბონ. მეორე წარმ.); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მუხუსი.